№ 184 სექტემბერი 3, შაბათი 1888 სექტემბერი 3, შაბათი № 184


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

ვეძებ ფრანგულის ენის გაკვეთილებს.
პეტრე მირიანიშვილი.
მეორე ნაგორნის ქუჩა, № 9. (10—1)

ტფილისი, 2 სექტემბერი

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, რომ გენერალი ბულანჟე სადღაც წავიდა საფრანგეთიდგანაო. ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია: ზოგი ამბობდა, რომ ბულანჟე ნორვეგიაში წავიდა თავისის ქალის სანახავად, ზოგი გერმანიაში წასვლას სწამებდა და ზოგიც რუსეთში. ბულანჟეს მომხრე გაზეთები ამბობდნენ, რომ გენერლის მგზავრობას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვსო. ერთის სიტყვით, ბულანჟეს მოგზაურობის ამბავი ბუნდით არის მოცული და ნამდვილი არა იციან-რა. განა სალაპარაკო არ იყო იმ კაცის იდუმალად წასვლა საფრანგეთიდგან, რომელმაც ევოდენი შინაური შფოთი გამოიწვია, ევოდენი ბრძოლა და გამათობა გაუწია დღევანდელს რესპუბლიკელს მმართებლობას? რაკი ამ გვარმა კაცმა ფეხი დასძრა და ნამდვილად არავის აცნობა, სად და რისთვის მიდის, უეჭველია იმისს მოგზაურობას უბრალო სეირნობად არ მიიჩნევდნენ და პოლიტიკურს მნიშვნელობას მიაწერდნენ. მართლადაც, გავარდა თუ არა ხმა, რომ ბულანჟე საფრანგეთიდგან წავიდაო, ყველა იმისს გამოცნობას შეუდგა, თუ სად და ვისთან წავიდა მოუსვენარი გენერალიო; ალბად ეს კაცი რომელსამე ახალს განსაცდელს უმზადებს რესპუბლიკასაო, რომლის მოქმედება მოსვენებას არ აძლევს ზოგიერთს სახელმწიფოებს. ზოგიერთებმა ხმა დააგდეს, ვითომ ბულანჟე გერმანიაში წასულიყოს და ამ ამბავმა მეტად აალაპარაკა მწერლობა: ბულანჟეს მოწინააღმდეგენი გაიძახოდნენ, რად წავიდოდა ბულანჟე გერმანიაში, თუ არ იმისთვის, რომ ბისმარკის შემწეობით რესპუბლიკელს მმართებლობას რაიმე უსიამოვნება და განსაცდელი შეამთხვიოსო. ამ სახით ბულანჟეს სწამებენ საფრანგეთის მოსისხლე მტერთან დაახლოვებას. ბულანჟეს მოწინააღმდეგეთ, რამდენადაც ეს ამბავი სჯერათ, იმდენად არა სწამთ ბულანჟეს წასვლა ნორვეგიაში თავისის ქალის სანახავად. თუ მართლა ნორვეგიაში წავიდა გენერალიო, ალბად განზრახვა აქვს იქიდგან რუსეთში მივიდეს, და ამ შემთხვევაშიაც იმისს მოგზაურობას პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო. თუ არ პოლიტიკური მოსაზრება, სხვა არა წაიყვანდა-რა ბულანჟეს რუსეთშიო. მაგრამ რა თვისებისაა ეს მოსაზრება, რა სწადიან ბულანჟეს შეიტყოს და მოიპოვოს რუსეთში, ეს არავინ იცის. რამდენადაც ბულანჟეს მოპირდაპირენი სცდილობენ ბულანჟეს რაიმე იდუმალი განზრახვა და წადილი შესწამონ, იმდენად იმისნი მომხრენი და მოსარჩლენი სცდილობენ დაარწმუნონ ყველანი, რომ ბულანჟეს მგზავრობა უბრალო სეირნობა არისო, რომ ბულანჟეს არავითარი საქმე არა აქვს არც გერმანიასა და რუსეთში და არც სხვაგანაო.

მეორე სალაპარაკო საგანი დღეს სერბიის მეფისა და დედოფლის განქორწინების საქმეა, რომელმაც თვით სერბიაშიაც დიდი შფოთი გამოიწვია და სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა ყურადღება მიიქცია. წარსულის თვის 26-ს სერბიაში უნდა გადეხადათ დღეობა დედოფლის ნატალიასი. იწერებოდნენ, რომ სერბიის მმართებლობა ყოველს გვარს ღონისძიებას ხმარობს ეს დღეობა მოუშალოსო. ამ ამბავმა დიდი ბაასი ასტეხა მწერლობაში. რუსული გაზეთები ერთ-ხმად ამტყუნებენ სერბიის მმართებლობას და მეფე მილანს. იმათის აზრით, მმართებლობას ნება არა აქვს დედოფლის დღეობას ხელი შეუშალოს, რადგანაც მეფე და დედოფალი ჯერ კიდევ კანონიერად განქორწინებულნი არ არიანო. რუსული გაზეთები ძალიან ჰკიცხავენ ავსტრიელს ოფიციოზურს გაზეთებს, რომელნიც ყოველ გვარს ღონისძიებას ხმარობენ, რომ დედოფალი ნატალია გაამტყუნონ და მეფე მილანი-კი სრულიად გაამართლონო. ერთი ავსტრიელი გაზეთი პირდაპირ ამბობს, რომ მეფე მილანი მოვალეა ნატალიას გაეყაროს, რადგანაც დედოფალი მუდმივ იმასა სცდილობდა, რომ მილანის პოლიტიკისათვის ხელი შეეშალა; დედოფალი ნატალია თავისის მოქმედებითა და საქციელით დიდს განსაცდელს უმზადებდა მილანსაო და, თუ ვინიცობაა ნატალია დედოფლად დარჩა, ეს განსაცდელი ადვილად მოსალოდნელიაო.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ბ-ნს ამაშუკელს გადმოუთარგმნია ქართულს ენაზედ ფრიად სასარგებლო წიგნი — „სასამართლოს წესდებულებანი“, რომელშიაც მოთავსებულია კანონებიდგან ამოკრებილი ადვილად გასაგები ადგილები მდაბიო ხალხში გასავრცელებლად. წიგნი კარგა გვარიანის სიდიდისა შემდგარა და ეხლა ბ-ნი ამაშუკელი დამბეჭდველს ეძებს, რომ გამოსცეს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენსამე კაცს მოსვლიათ აზრად ამ ზამთარს მოიწვიონ ტფილისში შესანიშნავნი და სახელ-განთქმულნი მომღერალნი ქართლისა და რამდენიმე კონცერტი გამართონ ქართულს თეატრში. სულ ქართლში შვიდიოდე-რვა კაცი მოიძებნება სახელ-განთქმული მომღერალი, რომელთა სიმღერის მოსმენაც დიდად სასიამოვნოა. მათ შორის ასახელებენ თთ. ციციშვილებს, ქაიხოსრო ქარუმიძეს, ორჯონიკიძეს, დაფქიაშვილს, კალატოზიშვილს და სხვათა. ზოგიერთს მომღერალს თავისი თანხმობა უკვე გამოუცხადებია და უთქვამს, რომ დიდის სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას საერო კონცერტში, თუ მეტადრე იმისი შემოსავალი რომლისამე კეთილის საქმისათვის იქნება დანიშნულიო.

*** დ. ცხინვალი: ვინ არ იცნობს ზოგიერთს ცხინვალელს ვაჭრებს, რომლებიც თავიანთის თავ-გასულობით განთქმულნი არიან. ცხინვალს დიდძალი მთის ოსები ახვევია, რომლებსაც ჩამოაქვთ ყველი, ერბო და სცვლიან ამ ნაწარმოებს ხან მარილზე და ხან ფარჩეულობაზე, ანუ ჭირნახულზე. აქაური ვაჭრები გაილენ ხოლმე ქალაქიდგან, უცდიან ოსებს და როგორც დაინახავენ ხურჯინიანს ცხენოსანს ოსს, მაშინვე ცხენიდგან ჩამოაგდებენ; ალვირს თითონ ვაჭარი დაუჭერს ცხენსა და მიუძღვება წინ, პატრონი-კი უკან მისდევს ძალაუნებურად; რამდენსამე ნაბიჯს რომ გაივლის ეს ვაჭარი, მაშინ მეორე ვაჭარი მივარდება და თავისკენ ეწევა ხურჯინიანს ცხენს. აქვსთ ამათ ჩხუბი და ოსი-კი შესცქერის გაშტერებული და არ იცის როგორ დააღწიოს თავი ამ გაიძვერებს. მერე ერთი მათგანი სძლევს და წაათრევს ოსს თავისს სამიკიტნო დუქანში; იქ ჩამოხსნის ხურჯინს, დახლში შეათრევს და ოსს ერთი ორიოდე არაყს დაალევინებს; ცოტათი მიათრობს და მერე ისე მიიწო-

## ფელეტონი

### აფხაზეთი და აფხაზნი*)

ცისსარტყელას სალოცავი

ეს სალოცავი საყოველთაო არ არის, მაგრამ ბევრს გვარს-კი მართებს ყოველ წლობით ცისსარტყელას სალოცავი. უფრო ხშირად ამ სალოცავით ლოცულობენ ავადმყოფნი, როდესაც მკითხავი ახსნის ავადმყოფობას ცისსარტყელას მიზეზით... თუ კაცი დიდხანს მოყვითლო ფერისაა, ძალა და ხასიათი აკლია და სხ., ეს, აფხაზის აზრით, „ზეცას რომ აკრავს“ —ცისსარტყელას ბრალია. და ის ავადმყოფი კაცი წყალში ჩასულა იმ დროს, როდესაც ცისსარტყელა წყალსა სვამდა და მაშინ გამწიკვლოვანებულა (დაყიშიტ).

შემოავლებენ რა რასმე ავადმყოფს და დაჰპირდებიან თუ არა ულოცონ, იგი გაჰყავთ წმინდა დედაბრებს მდინარე წყლის პირას. აქ მოაქვსთ ორი შეჭწვარი ყვერული, ორი პურის ლევძილი, რომელნიც ენის ფორმისანი არიან და ამიტომ „ენები“ ჰქვიან, ამათ გარდა ყველა ხორაგეულობა, რაიცა საჭიროა წყლის სალოცავის დროს, რადგანაც ცისსარტყელას სალოცავთან ერთად წყლის სალოცავიც უნდა იყოს. მდინარის ორსავე ნაპირზე დააწყობენ სხვა-და-სხვა წმინდა და მშვენიერ ნივთეულობას: ტანისამოსს, ვერცხლეულობას და სხ. წყლის ერთის ნაპირიდამ მეორემდე გააბმენ აბრეშუმის ძაფის ხიდს. ამ სახით, როცა ყოველივე დამზადებულია, მლოცავი დედაკაცი აიღებს კაცის სახით გაკეთებულს პატარა კუკს, რომელიც მორთულია მშვენიერის ფერად-ფერადის ტანისამოსით, და, აილებს რა ამას მუხლ-მოყრილ და მიტკალ გადაფარებულ ავადმყოფს, ეხვეწება შევება-განკურნებას ცისსარტყელას ელიაფშის სახელით, შემდეგ სანთლით ხელში თავთავის რიგზე მიჰმართავს „წყლის დედა ქალბატონს“ და იმისს ქმარს „ბატონს“. აგრეთვე ლოცვით გადაავლებს სხვა ხორაგეულობასაც და თავ-თავ საჭმელებიდგან ფინჩხებს გადააგდებს. გათავებისას ზემოხსენებულს კაცის სახის ტიკინს თავ-მოხსნილს აყიროში (მწარე კვახში) ჩაამაგრებენ, ირგვლივ მოკიდებულის სანთლებით გააჩირაღდნებენ და წყალზე გადააგდებენ ამ სიტყვებით: „ავადმყოფის ნაცვლად ამას შეექციე, ეთამაშე, ამასთან დრო ატარე“. მლოცავი დედაკაცი-კი ავადმყოფს ზურგზე ხელს გადუსომს, წნელსაც გადაჰკრავს და აზატის მიცემით შინ გამოუშვებს ასე, რომ უკან არ უნდა მიიხედოს. ლოცვის ცერემონიის ასრულების შემდეგ იქვე წყლის პირზე წინდაწინ გაკეთებულს კარავში სადილობენ დედაბრები. ჭამა მარტო ამათ შეუძლიათ და მარტო აქ, ყოველივე გადანარჩენი წყალში უნდა გადაჰყარონ და ნახმარი ავეჯი წმინდად გარეცხილი შინ უნდა წამოიღონ.

ეს სალოცავი ძლიერ მძიმე სალოცავად მიაჩნიათ და ცისსარტყელას ნამდვილი სახელის (აცაყვა) და არა ზემოთ მოხსენებულის ელიაფშ-ის[1]) უბრალო წარმოთქმაც-კი ეზარებათ. ცისსარტყელას სალოცავის აღსრულებას, აფხაზების აზრით, მოჰყვება წვიმა.

ქარის სალოცავი (ფშარნჭა)

აკეთებენ დიდს ყველიან მჭადს, სდებენ ცხმელას ცხრილზე (ჩელტზე), გააქვსთ სახლზე ცოტა მოშორებით და ევედრებიან ‹ქარსა ქალბატონსა ჩიჩ-სა› (ჩიჩი ხშირად ჰქვია აფხ. „ქალბატონებს“), რომ კეთილი ქარი ახლო მოუვლინოს, ავი მოაშოროს, ფათერაკისაგან დაიხსნას და სხვ. შემდეგ მჭადის შუაგულს ამოსჭრიდნენ, მიჰქონდათ ახლო ტყეში და ერთს მაღალ მუხის წვერზე სდებდნენ, ხოლო მეორე დღეს ვინც ყველას დაასწრებდა, ის იფეშქაშებდა.

ხის სალოცავი

მარიამობის დღეს აკეთებდნენ პატარა კვერებს იმდენს, რამდენიც მამაკაცია ოჯახში. ამ კვერებიანათ პატარაებითურთ სახლის უფროსი მიდის ერთ-ერთს ახლო ქორფა ხესთან, ხეს ფეხს მიადგამს და ლოცულობს: „ხეო, შენი მადლი და სიკეთე მომანიჭე... ხიდამ უვნებლად ჩამომიყვანე, ნედლ ტოტზე შევსდგე, გამიმაგრდეს, ხმელზე შევსდგე, გამინედლდეს“ და სხვ.

საგარეო სალოცავი აღნუა

სხვა-და-სხვა მიზეზის გარდა, ავადმყოფობას მიაწერენ ხოლმე „გარეულის“ მიზეზსაც. ეს გარეულნი არიან მკვდართა სულნი. ესენი რამე უკმაყოფილობის გამო უწყრებიან ცოცხლებს: კაცი იყოს, გინდ საქონელი, ეს ორივე შესაძლოა. საგარეო სალოცავის, ანუ, რაიცა იგივეა, მკვდრების მიერ „ნაბრალევი“ ავადმყოფი, აფხაზის აზრით, ხშირ-ხშირად ამთქნარებს, მძინარეობს, ცოცხალ-მკვდარსა ჰგავს. ეს იმასი ნიშანია, რომ სული, რომელიც ებრალა, სულსა თხოულობს და, თუ სულის მაგივრად საკლავით არ დააკმაყოფილეს, იგი ავადმყოფს თან გაიყვანს.

შემოვლების შემდეგ ერთ-ერთს სამშაბათს ანუ შაბათს აკეთებენ საუკეთესო საჭმელებს: კრავს, ანუ ცხვარს, ქათმებს, მაწონს, „ჩეპუქვას“ და სხვ. არა იშვიათად თუ დიდკაცის სულმა ავად გახადა კაცი, მაშინ ძროხასაც ჰკლავენ. ყოველსავე ამას სუფრებზე სახლის დერეფანში დააწყობენ. აქვე, ისე, როგორც ცისსარტყელას სალოცავის დროს, ორ მხარეზე სხვა-და-სხვა ძვირფასი და წმინდა ტანისამოსი და ნივთეულობა იქმნება დალაგებული. ავადმყოფს საკიდებელ ნაჭა შემოვლებულ წრის შიგნით დაჩოქებენ. შემდეგ მლოცავი (ქალისა ქალი, კაცისა კაცი) შეევედრება ცხოველთა და მკვდართა (ანგი-ფსნგის) განათავისუფლონ ავადმყოფი, მიანიჭონ სიმთელე, დამზადებული შესაწირავი მიიღონ ავადმყოფის ნაცვლად (და სხ. იხ. ზევ.), ზურგზე ხელს გადუსვამს და აზატის მიცემით აბოლოვებს სალოცავს. კიდევ როცა მკვდრის სული, რომელიც ავადა ხდის, აღიარებულია დიდკაცის, მაგალითად, თავადიშვილის სულად, ლოცვის დროს ცხენსაც იქვე მიაბმენ, ბოლოს მოხსნიან და სიტყვებით: „შენს სულს ჰქონდესო“, მინდორზე მიუშვებენ. ესეთი ცხენი ხშირად, აფხაზის აზრით, იბერება და ჰკვდება, ე. ი. სულს თავისას გადაჰყავს.

აქაჰარას სალოცავი

სიტყვას „აქაჰარა“ აფხაზები უწოდებენ სახლის ოჯახის უფროსს, ზედამხედველს არსებას და, მაშასადამე, აქაჰარას სალოცავი არის ლოცვა სახლის ზედამხედველის სახელით.

* იხ. „ივერია“ № 183.

[1]) ელიაფშ=ელია+აფშ=ელია წითელი.

ნავს ეს ნამუსზე ხელ-აღებული ვაჭარი, როგორც იმისს გულსა და სულსა სურს. არ არის მაგალითი, რომ, თუ ვისმე სურს ოჯახისთვის ყველი ანუ ერბო იყიდოს, თვით ოსებისაგან შეიძინოს, მხოლოდ იმ ბატონებს უნდა მიჰმართონ და ისინი თავიანთს ფასებზე მიჰყიდიან. ურიგო არ იქნება, რომ ადგილობრივმა ბოქაულმა მიაქციოს ამას ყურადღება და დააშლევინოს ვაჭრებს ესეთი საქციელი.

*** დუშეთი: წელს ყანები თუმცა ძალიან მაღლები იყო გაზაფხულის ხშირის წვიმების გამო, მაგრამ პურს გამოსავალი-კი ძალიან ცოტა ჰქონდა. ბევრი თავთავი სრულებით ცალიერი იყო და ამიტომ მოსავალი ბევრს გლეხს შინაურის პირუტყვებისათვის ჩალად შეუნახია. საზოგადოდ მთელს მაზრაში ძალზედ უჩივიან წლევანდელს მოსავალს: შარშანდელზე ბევრით ცუდი გამოდგაო. აქაური ვაჭრები-კი არბენინებენ თავიანთს „პრიკაშჩიკებს“ ქერისა და პურის მოსაგროვებლად, ასაღებად. ზოგს გლეხს წლევანდელი მოსავალი ვალადაც არ ჰყოფნის.

არც შარშან იყო ძალიან საქები მოსავალი; ამიტომ წელს დუშეთის მცხოვრებლები თითქმის სულ კავკავის ფქვილით იკვებებოდნენ. შარშან შემოდგომის შემდეგ დუშეთის მაზრის სოფლებიდგან ფქვილი აღარაკი შემოუტანიათ დუშეთში გასასყიდად. ეხლა ადგილობრივი ფქვილი იყიდება მანეთად და ექვს აბაზად, წინად-კი ამ ნაირივე ფქვილი ოთხ აბაზამდე ძლივს ფასობდა. სულ ორჯელ, თუ სამჯერ მოიტანეს ახალი ფქვილი და ხალხმაც საჩქაროდ დაიტაცა. ამიტომ დუშელები ეხლავე ემზადებიან კავკავს წასასვლელად და ფქვილის მოსატანად; ზოგიერთნი კიდეც წავიდნენ.

*** პირველს ენკენისთვეს, მეშვიდე განყოფილებაში, უეცრად მოკვდა სამსახურიდგან გადამდგარის გახტერის, ივანე გასილის ძის ფოკინის, თექვსმეტის წლის ვაჟი პეტრე. ამის გამო გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

თიანეთი. გაზაფხულმა და ზაფხულმა ჩვენი ესრედ წოდებული „შავი თიანეთიც“ გამოაცოცხლა. მართალია, ბარის ვარდობის თთვე მაისი იყო თთვე განკითხვისა, ანგარიშებისა და სხვა-და-სხვა არა ჩვეულებრივის ციებ-ცხელებისა, მაგრამ არც ჩვენი მთის ვარდობის თთვე, თიბათვე, ჩამოურჩა ამ მხრივ იმ თთვეს. ჯერ იყო აქ სისხლის სამართლის განყოფილება ოლქის სამსჯავროსი, რომლის წინაშეც წარსდგნენ ყველა დამნაშავენი თუ ბრალდებულნი და წარუდგინეს სასამართლოს თავისის მოქმედების ანგარიში. ჩვენის თემიდას სადგური გატენილი იყო ხოლმე ყოველ დღე ხალხით, უფრო ქისტებით. ბევრს დაუჯდა იარაღის გაჩხარუნება ძვირად და ბევრს იეფადაც, მაგრამ რა ვუყოთ, ეს უსწორ-მასწორობა ცხოვრების ცნობილი და მუდმივი თანამგზავრია და თავისი ასე თუ ისე შესაწყნარებელი საბუთიცა აქვს; თუმცა ყველა ბრალდებული თითქმის საჩოთინოა კაცის თვალში, მეტადრე როცა ის ბრალდებულთა სკამზე ზის და პირი ციმბირისაკენა აქვს მიქცეული, მაგრამ მაინც, ჩვენდა სანუგეშოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთს ბრალდებულის მოქმედებას არა ჰქონია სარჩულად განცხრომითა და ფუფუნებით ცხოვრების ძებნა იქ მოძკით, სადაც არ უთესნიათ. ერთის სიტყვით, არავის არა მოუმოქმედებია რა ბრალდებულთა შორის ისეთი, რაც ადამიანს მომეტებულს ჩირქსა სცხებს.

შემდეგ მოვიდა სააპელაციო განყოფილება ამავე სასამართლოსი და გაასამართლა სამოქალაქო ანგარიშები ჩვენის მაზრის მცხოვრებთა. დიაღ, გამოაცოცხლა ზაფხულმა და მეტადრე აქ სამხედრო ბანაკის გამართვამ სრულიად სხვა ფერი დასდო ჩვენს დაბას, ასე რომ ზოგიერთები იმასაც-კი ამბობენ, რომ თიანეთს „განათლების ფერი“ დაედოვო! განათლებისა-კი რა მოვახსენოთ და ესკი აშკარაა, რომ განათლების ხორცმეტით შეკაზმულებს ეხლა ხშირად შეხვდება კაცი თიანეთში; მე ვამბობ ტიურნურ-კორსეტებზედ და სხვა ამ ნაირ სადარბაისლო „სამკაულებზე“, რომლითაც მორთულ-მოკაზმული მანდილოსნები (ახლა ხომ ქუდოსნებად გადაიქცნენ) შეადგენენ დღეს თიანეთის ცხოვრების წყაროს სათავეს. ამათ გარდა კიდე რა მილეთის ხალხი უნდა კაცს, რომ აქ არ შეხვდეს! ელზასელ ურიებს, არზრუმელ კრიებს და ვილაც ავსტრიელ „მეფოკუსეებსაც“ ჩვენის ცხოვრების მორევში შეუტოპნიათ; მათზე უფრო ჩვენთან ახლოს მცხოვრებელი ერები ხომ ისე არ დარჩენილან, რომ თითო-ოროლი მათგანიც არ შემოსვევიყოს ჩვენს დაბას. ან-კი რა გასაკვირველია, რომ შემოესივნენ, ბანაკის გამართვას ბევრ ნაირი სხვა საქმეც მოჰყვა თანა და მერე სულ ისეთი საქმეები, სადაც ხელის მოთბობა და ხეირ-მოგება მოსალოდნელი; კაცისთვის ყველა ეს თაფლია და, თაფლი თუ არის, ხომ მოგეხსენებათ, ბუზი ბაღდადიდგანაც მოვა. თუ სამუდამოდ არა, დროებით თაფლიანი მაინც არის თიანეთი და რადგან ამას უფრო ჩქარა მოლოკვა უნდა, ამისთვის საქმეს ყველა დიდის ენერგიით შესდგომია, როგორც ზოგიერთი შინაურები, აგრეთვე ცხოვრებისს ტალღებისგან ჩვენს კუნჭულში გამორიყული უცხოელებიც! ღმერთმა ჰქმნას, რომ ყველა ამ ბედის მძებნელთ იპოვნონ ბედი, მხოლოდ იმ გზით-კი არა, რა გზითაც მრავალი მათგანი ეძებს! მოიზიდა ჩვენმა დაბამ ბედის მძებნელებიცა და არაფრის მძებნელ-მკეთებელი «ლოთიფოთი» უსაქმური „ყმაწვილებიც“, რომლებსაც გულზედ არა ნაირი ცხოვრების წყაროს ღარი მოხაზული არა აქვსთ და თავიანთ ფუქსავატს ცხოვრებას დილიდგან საღამომდე და საღამოდგან დილამდე ჰარიალალესა და ღვინის სმაში ატარებენ. ესენი ბძანდებიან მოსულები მარტო «საქეიფოდ» და ჩვენ, თიანელების, ცხოვრებით დასატკბობლად.

ყველა ეს ხალხი ჩვენის დაბის გარეგან შეხედულობას ერთობ აჭრელებს და არა ჩვეულებრივს ფერსა სდებს; აქ ზლაზნით მიაბიჯებს პითაგორის შარვალში ჩამჯდარი ბერძენი, იქ მიერწება მუდამ ნამძინარევის მსგავსი სპარსელი, მიბაჯბაჯებს ხევსური, შეჭურვილი ფარ-შუბითა და დაშნასატევარით, იმის ახლო მიცოკავს ტიურნუროსანი და მიაზანზარებს უშველებელს ტიურნურს, თითქოს საბზევე გოდორი წამოუკიდნიაო, გვერდს მოსდგომია თავისი კავალერი და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა ჯურის ხალხი ასურათებს ჩვენს ქუჩებს. ამას დაუმატეთ, სადაც არა მგონია, ორღობეში ფორტეპიანოს წკრიალი და ხშირად სამხედრო მუსიკის კვრა და მაშინ სრულიად თვალ-წინ წარმოგიდგებათ ჩვენის დაბის სურათი თავისის სამის სასტუმროთი, ბილიარდებით და სხ... შეჩვეულის თვალისათვის ყველა ეს გაცვეთილი სანახავი და გასაგონია, მაგრამ თიანეთისათვისკი ახალი ხილია, იმისი დროებითი ფერის ცვალება!

ხ.

## უცხოეთი

გერმანია. ერთი გერმანული გაზეთი საინტერესო ცნობებს მოუთხრობს თავისს მკითხველებს სოციალ-დემოკრატების შეძლებასა და ქონებაზე გერმანიაში. თვითონ სოციალ-დემოკრატებს რომ დავუჯეროთ,— ამბობს გაზეთი:—ისინი საჭირო ფულს შოულობენ არჩევნებისათვის თვით სოციალ-დემოკრატებში. მათ შორის არიან მდიდარნი კაცნი და ისინი სწირავენ ათასში ერთხელ დიდს ფულს არჩევანებზე თავიანთის საქმის საწარმოებლად. მდიდრებს გარდა, თვითონ მუშა ხალხიც აგროვებს თითო-ოროლა გროშობით ფულს ამ საქმისათვის. ყოველ შაბათს, როცა-კი ეს მუშები თავისს ხვედრს ჯამაგირს იღებენ, საერთო ყულაბში აგროვებენ, ვისაც რამდენიცა სურს და რამდენიც შეუძლიან. აგრეთვე კრებაზე, რომელზედაც თავს მოიყრიან ხოლმე სოციალ-დემოკრატები ასობით და ათასობით, ყულაბი აქვსთ გამართული და ყველა დამსწრე თავისს მოვალეობადა სთვლის რამდენიმე ფენინგი, თუ მარკა ჩააგდოს საერთო საქმისათვის ამ ყულაბში. ის-კი ტყუილია, ვითომ ასე შეგროვილი ფული ეძლეოდეთ სოციალ-დემოკრატების მოთავე კაცებს. უფროსი და თავი კაცი მათში ლიბკნეხტია. ლიბკნეხტი სცხოვრებს ლიტერატურულის შრომითა, მწერლობითა და ძრიელ დიდი ჯაფაცა აქვს. ეხლა ლიბკნეხტი განდევნილია ლეიპციხიდამ. ოჯახი მისი-კი ისევ ლეიპციხში სცხოვრებს, რადგანაც შვილები სკოლაში სწავლობენ. ხოლო თვითონ ლიბკნეხტი სოფლადა სცხოვრებს ლეიპციხს ახლო, და ორი ოთახი უჭირავს გლეხ-კაცის სახლში. რაიცა შეეხება მეორე თავს

---

მეგრულად ამ სალოცავს ნერჩის სალოცავს ეძახიან. ამ სალოცავით, მაგალითად, ლოცულობენ ახალი ცოლ-ქმარი ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ისინი ერთად უფროსებს არა სჩვენებიან, ანუ როდესაც ახალი რძალი დიდს სახლში შემოჰყავთ, აგრეთვე გათხოვებული ქალი—დედ-მამის სახლში პირველად მობრუნებულა გაყვანის შემდეგ ყველა ამ შემთხვევაში თვით საკლავების დაკვლის წინ, მარჯვენივ, იმათის მობრუნების დროს სახლის უფროსი ანუ ერთ-ერთი უეხნიერესი ვინმე შამფურზე ჩამოცმულ გულღვიძლით ხელში აჭაჰარას სთხოვს მლოცველ კაცზე, რომ მან მუდამ თავისის შემწეობისა და მფარველობის ქვეშ იყოლიოს შინ, გარეთ და სხვა და სხვა.

### ჭაპუ

კერას ზედამხედველსა ჰქვიან „ჭაპუ“, იმისს სახელობაზედაც არის სალოცავი. მაგალითებრ, როდესაც ბავშვი ნაცარტუტას, თიხას ხშირად სჭამს, სიარულსა და ლაპარაკს დიდხანს ვერა სწავლობს, მაშინ დიდის ჭადით ულოცენ ჭაპუს სახელით; შემდეგ იმას წითელის ძაფით შებორკავენ, კარზე დააყენებენ და სხვა ვინმე პატარა ბავშვი ფეხებთან გაუვლის ჭადით ხელში, თან ბორკილსაც მოსწყვეტს და კარში გაიქცევა. ამის შემდეგ ბავშვი ძრიელ ჩქარა ისწავლის სიარულსაო და სხ. ჭაპუს სახელით სწყევლიან დედაკაცები ერთმანეთს. ცხადია „ჭაპუს“ მოქმედების წრე ძრიელ ვიწროთ არის შემოფარგლული: კერათი და კერას გარშემოთი.

### ქაბრანის სალოცავი

ეს სალოცავი ძროხისაა და მას ასრულებს ყოველი აფხაზი, ვისაც-კი ძროხა ჰყავს, ყველიერის შაბათს. ამისათვის წინდაწინვე დამზადებული აქვსთ დიდი ფართე სულუგუნი, რომელსაც „წმინდა ყველს“ ეძახიან. კერაზე დადებულ ჭადის ცომზე, სანამ ფოთლებს მოაფარებდნენ, „წმინდა ყველის“ ამოჭრილ შუაგულს ზედ დააწებებენ და ამ დროს მამაკაცი დაიწყებს ქაბრანის სალოცავით, ვის სახელზედაც ლოცულობენ: „ქაბრანის მთქმელთა ყველას მამჯობინე; საქონელს მიმატე და გამიმრავლე ისე, რომ მომავალში ამ ჭადის ტოლა ყველითა ელოცულობდე და რომ ძროხები ეზოში არ მეტეოდეს: ავისა და ფათერაკისაგან დაიხსნა, შინ დაიცვა, გარედ დაიცვა, დაძველებულის ბალანისა და განავალის გარდა ზარალი არ მისცე; წინა მაღალი საქონელი მირბოდეს; უკანა ვერ ეწეოდეს; ხბოები დათვის ბელივით კუნტრუშობდნენ და კვიცივით ელვარებდნენ და ბრწყინავდნენ, ამასა გთხოვ...“ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ აიღებს სამს თხილის ჯოხს, ჩაურჭობს ზემოხსენებულ ჭადის ცომში და ზევით გირეს დაარტყავს ამ სიტყვებით: „ვოოც! ჩიფშ!“ (ძროხის სახმობი ხმაა).

იმავე სალოცავს, როცა ძროხის ნაცვლად თხას ულოცავენ შაბათის მაგივრად ყველიერის ხუთშაბათს, ჰქვიან ჯაბრანის სალოცავი და სრულდება იმავე სახით, როგორც ზემოდ არის მოხსენებული.

სიტყვები ქაბრან და ჯაბრან, რომლებსაც იხსენიებენ სალოცავებში, ერთი მეორესა ჰხსნის: ქაბრან რთული სიტყვაა და უნდა შესდგებოდეს შემდეგის სიტყვებისაგან: აქ-აბ-ან [2]), (აქ—ძროხა; აბ—მამა, ან—დედა. იხ. ზევ.)=ა) ქაბრან=ძროხის მამათა დედა, ძროხის წინაპართა დედა. აგრეთვე ჯაბრან, რომელშიაც ჯა შემოკლებულია და ნიშნავს თხას: ჯა-აბ-ან=ჯაბრან, თხის წინაპართა დედა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ უკანასკნელ შემადგენელ სიტყვას (ან დედა) შეიცავს სიტყვა ანცა—ღმერთი (იხ. ზევ.)

### ხოზოს დაჭერა (ასვაყვრა)

რელიგიური ცერემონია ხოზოს დაჭერისა არის ყოველ წლობით ჩვენს დროს დიდ მარხვის პირველ ორშაბათს. ამ დროს მრავალ მოხარშულ ხოზოებიდამ აიღებს, დაიჭერს აფხაზი თითოს, ანუ სამ-სამს და თხოვნა-ვედრებით მიჰმართავს იგი სხვა-და-სხვა სახელწოდების ღმერთთა („დედათა“). ამიტომაა, რომ აფხაზი ამ ცერემონიას ეძახის „ხოზოს დაჭერას“, დავკებას, ხოლო თვით დროს, ოდესაც იმას ასრულებს, ხოზოს დაჭერას, ანუ დაკავების დროს. და ეს დრო ითვლება წელიწადის საზომ დროდ ისე, როგორც ქრისტიანებში დიდნი შობა-აღდგომის დღესასწაულნი.

თავდაპირველად სახლის უფროსი აიღებს სამს ხოზოს და საერთოდა სთხოვს ყველა ღმერთებს ამ სიტყვებით: დიდნო ღმერთნო (ანცა დოუქვ=დიდნო დედანო), შემდეგ კერძოდ და დაიწყებს ლოცვას.

აიღებს რა სხვა ხოზოს, თავდაპირველად ეხვეწება „ალიშკინტრ“-სა, ძაღლების უფროსსა, და სთხოვს მას ძაღლის ბედი მისცეს, კარგი ძაღლი გააზრდევინოს და გაუმრავლოს, რადგან, თუ ძაღლი გყავს, აფხაზის ფიქრით, საქონელიც შემოგივა და ამისი ბედიც გექმნება და ამიტომაა, რომ აფხაზი ყველაზე უწინ იხსენიებს ალიშკინტრს.

სხვა ხოზოთი ხელში აფხაზი ევედრება საქონლის, პირუტყვის ზედამხედველის ღმერთსა „აითარ“-სა: „აითარ! შენი მადლი და სიკეთე მომანიჭე; აითარის მთქმელთ ყველას მამჯობინე“... (იხ. სალ. მეკხრე). ერთის სიტყვით, ლოცულობს საქონლისათვის, მაგრამ არ ივიწყებს ბოლოს თავისს თავსაც. პირუტყვის ღმერთსა «აითარ»-ს უპირველესი ალაგი უჭირავს, რადგან, როგორც ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით, საქონელს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათ მოქმედებასთან შედარებით.

აითარის სახელით აფხაზები ფიცულობენ, როცა უნდათ ნათქვამი დაამტკიცონ, და სწყევლიან ერთმანეთსაც. უპირატესი მნიშვნელობა „აითარი“-სა სჩანს იქიდამაც, რომ „ხოზოს დაჭერას“ ცძახიან აგრეთვე აითარის სალოცავს და თთვეც იწოდება აითარის თთვედ.

აგრეთვე ამ სახითვე მიჰმართავს შაშანა-ს და სთხოვს: „შაშანა ახუც აქუსწა რახუ ნასფ უიმთააიტ“, ვითომ შაშანამ, თმისა გამჩენმან, საქონლის ბედი არ მოგცეს, ანუ: შაშანამ თმოსანის ბედი არ მოგცაო (წყევლაა).

აიღებს კიდევ ხოზოს, მიჰმართავს ჰირნახულის ღმერთს, ჰირნახულის გაპიროვანებას ანაფანაგა-ს და სხვათა შორის ამბობს: „ანაფანაგა: ჩემს რკინეულობასა და იარაღს, სადაც გავუსვამ და გავკრავ, ხვავი და ბარაქთი მომეცი, ვინც გიტანს ჰირნახულს, საქონელი შესძინე, ვინცა სჭამს—შეარგე“ და სხ[3]). აიღებს სხვა ხოზოს და ამბობს: «შაშა! იარაღი

[2]) ყველა სახელნი არსებითნი აფხაზურს ენაში იწყებიან ხმითა ა, რომელიც სიტყვის კავშირში უფრო ხშირად გამოვარდება.

[3]) კიდევ ჰირნახულის სალოცავი ა ნ ა ფ ა ნ ა გ ა ს სახელით იცოდნენ შემოდგომაზე, როდესაც პირველად შინ შემოჰქონდათ ღომის ძნა. ყანის სალოცავი კიდევ— გარდა იმისა, რომ მარიამობის მარხვაში ჯვარსააყენებენ, წმინდა სანთელს სიმინდსა და ღომს მიაწებებენ ავ სულთა ვნების ასაცილებლად—იციან კიდევ მარიამობას დიდის ჭადით ჯ ა ჯ ა ს სახელით. ეს ჯაჯა ყანის ბოროტი, მავნე ღმერთია მდედრობითის სქესისა და მიუმზიდველის სახისა: დაბალია, გაბერილი და საზარელის შეხედულობისაა (დლალაძა). ჯაჯა ყანაში შედის და, სადაც უნდა, იძახის: „ნავცის, ნავცის —ნეკი, ნეკი!“ ე. ი. სიმინდის ტარო ნეკის ტოლა. ამ დროს ამის გამგონე გულადი კაცი რომ გამოეკიდოს იარაღით ხელში, ჯაჯა გაიქცევა, თუ ამ სიტყვებს მიაძახებს: „რაკი ძაკი, რაკი ძაკი“—„წურთა და მტკაველი, წურთა და მტკაველი“.

კაცს, ბებელს, ის თავის ხელობითა სცხოვრებს, ხარატობით. ამ ბოლოს დროს ბებელმა რამდენიმე ათასი ტალერი შეიძინა, რადგან ფრიად საინტერესო წიგნი დაჰბეჭდა „ქალებზე“, იმდენად საინტერესო, რომ საზოგადოებაში დიდ-ძალი გაიყიდა. ზინგერს, მართალია, დიდი შეძლება აქვს, მაგრამ არც ისე დიდი, როგორც ზოგიერთები აზვიადებენ.

რაიცა შეეხება ამ თავი კაცების განათლებას, მათ შორის ყველაზე კარგად განათლებულია ლიბკნეხტი. ბებელმაც, თავისის მხნეობითა და თავისის მეგობარის ლიბკნეხტის წყალობით, დიდი ცოდნა შეიძინა. ერთი საწყალი ხარატი იყო ბებელი და დღეს დიდად განათლებული კაცი შეიქნა. როცა ციხეში იყო დაპატიმრებული, იქ ლიბკნეხტის წყალობით ისწავლა ფრანგული და ინგლისური ენა. ყმაწვილკაცობაში უფრო განათლებულნი არიან სოციალ-დემოკრატებ შორის შიპელი, ლიუტგენაუ და ბაკი. მაგრამ ყველა ეს ახალგაზდანი გონებით ბევრად ნაკლებნი არიან მოხუცებულ სოციალ-დემოკრატებზეო.

საფრანგეთი. რემირმონში, სამეურნეო დღესასწაულზე, ფლოკეს გარდა, ქიულ ფერისაც წარმოუთქვამს სიტყვა პოლიტიკის შესახებ. „არის ერთი საგანიო,—უთქვამს ორატორს,—რომელიც გონებას უბნელებს რესპუბლიკელებს: ეს საგანია—არ ცოდნა იმისი, თუ რა მოჰყვება მომავალს არჩევანებს; ეს საგანია საიდუმლო ჩვენის მერმისისა. ვხედავთ, ცხვირ-წინ გვიძევს საფრთხე და ამიტომა ვართ შეუიქრიანებულნი. რა საფრთხეა ეს საფრთხე? ეს საფრთხეა დროშა ღალატისა და ტყუილისა, დაწნული სარესპუბლიკო ყვავილებით. ეს დროშა ისვრის ჩრდილს და ამ ჩრდილით ჰფარავს ყველა კონსერვატორებისა და რეაქციონერების კავშირს, კოალიციას (ისმის ტაშის კვრა). დიაღ, ეს არის ის ჰო-არაობა, რომელიც გულს უკლავს და აღონებს რესპუბლიკელებს. სარესპუბლიკო დროშით გამოსულან მტერნი რესპუბლიკისა, პირბადე ჩამოუფარებიათ და ჰლამიან რესპუბლიკის დაღუპვას. ამ დროშის ქვეშ მოუყრიათ თავი, ერთის კაცის მეთაურობით, ყველასა და ყოველსავე, რაც-კი რამ ცეზარული და პლებისციტარული დაშთენილა ჩვენს ქვეყანაში; მოუყრიათ თავი ყველას, როიალისტებსაცა და მემარჯვენეთაც, იმათ, ვისაც სწამს ისტორიის მიერ მუდამ უარ-ყოფილი საძაგელი დედა-აზრი, რომ ვითომ ხანდახან სიკეთე ბოროტებისაგანაც იშვებაო. საფრთხე თვალ-წინ გვიძევს. ამ საფრთხეს ყველა ჰხედავს და ყველას უნდა დათრგუნოს რომელისამე საშუალებით“. ზოგნი ჰფიქრობენო, სთქვა მერე ორატორმა: რომ ერთი საშუალება ამ საფრთხეს დასათრგუნავად კონსტიტუციის გადათვალიერებაო, მაგრამ ჩემის აზრით ეს საშუალება რესპუბლიკას დაჰღუპავსო. მეორენი ამბობენ, რომ არჩევანების რეფორმა გვიშველისო, მაგრამ არც ეს ღონე არის ჩვენი მხსნელი. მართალია, სიებით წარმოებული არჩევანი არ გამოდგა, მაგრამ არც თემ-თემად წარმოებული არჩევანები დაგვიხსნის თუ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში კვლავ აღვადგინოთ საარჩევანო გულწრფელობა, სამართალი და სინათლე, უნდა სხვა რამ მოვძებნოთ. ეს სხვა რამ არის გაგება რესპუბლიკელების უმრავლესობის აზრისა და სურვილისა (ხანგრძლივი ტაშის კვრა მოჰყვა ამ სიტყვებს). მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მე იმ აზრისა არა ვარ, ბატონებო, რომ შეცვლა საარჩევანო კანონისა ქვეყანას დაიხსნიდეს განსაცდელისაგან. ცეზარიზმის დასათრგუნავად სხვა რამეა საჭირო. იმას ვერ დავსძლევთ ვერც ფორმულებითა და ვერც დებულებით. ცეზარიზმს დასძლევს და დასთრგუნავს მხოლოდ კავშირი რესპუბლიკელებისა (კვლავ ხანგრძლივი ტაშის კვრა).

დასასრულ რამდენიმე სიტყვა კიდევა სთქვა ორატორმა: „მომავალს არჩევანებზე შეებმიან ერთმანეთს რესპუბლიკა და ყოველივე ის, რაც რესპუბლიკა არ არის. მაშასადამე, საქმე რესპუბლიკის სიკვდილ-სიცოცხლეზე იქნება დამოკიდებული. მოიგონეთ, ძვირფასნო თანამემამულენო, რომ ერთობამ, პატიოსანმა კავშირმა ძლევა მოგვანიჭა ამ ათის წლის წინადაც. მაგრამ ეტყობა ძვირად არ დაგვიჯდა ეს გამარჯვება, იმიტომ რომ მალე დავივიწყეთ იმისი მნიშვნელობა, და გავიმარჯვეთ თუ არა, მაშინვე რესპუბლიკელთ შორის დაიბადა შფოთი და უთანხმოება. ყოველივე ეს უნდა დავივიწყოთ და წარსულთა დროთა მოგონებიდამ საყვედურები-კი არ უნდა ამოვიკითხოთ, არამედ ისეთი მოძღვრება, რაც გულის ხმაში ჩაგვაგდებს. უნდა განვდევნოთ ჩვენ შორიდამ და არ მივცეთ თავი ჩვენი სულსა მძულვარებისასა, უთანხმოებისასა, ან არა და უნდა ველოდეთ ისტორიისაგან მსჯავრსა საშინელსა და სასტიკსა“.

◆◆

## წვრილი ამბები

ინგლისში რკინის გზის სადგურის ბოლტონის უფროსს ამ დღეებში მიუღია დეპეშა, რომ მოვიდეს თუ არა მანდ მატარებელი, დააპატიმრეთ შიგ მჯდომი ყმაწვილი კუზიანი ქალი, რადგან მოტაცებულია და მამა დაეძებსო. საუბედუროდ, მოსულს მატარებელში ორი ახალგაზდა კუზიანი ქალი აღმოჩენილა, ერთის მაგიერ, ასე რომ სადგურის უფროსს, რადგან არა სცოდნია რომელია მოტაცებულიო, დაუპატიმრებია ის, რომელიც პირველად გადმოსულა ვაგონიდგან, მეორისათვის-კი ხმა-კრინტიც არ გაუცია. ბოლოს-კი აღმოჩენილა, რომ დასაჭერი სწორედ მეორე კუზიანი ყოფილა და არა პირველი. ის კუზიანი ერთად-ერთი ქალია თურმე შეძლებულის ბანკის პატრონის სმიტისა სოუტ პორტში, შეუყვარდა ცირკის მასხარა და გაჰყვა უკან. სადგურის უფროსის გაუფრთხილებლობით გაქცეულნი ნახევარს საათს შემდეგ მისულან ბოსტონში და ქორწილი გადაუხდიათ.

— შეერთებულ შტატების გაზეთებს დიდი აყალმაყალი აქვსთ ტიურნიურის შესახებ... კიდევ ტიურნიური! ყურთასმენა წაიღოვო, იტყვის მკითხველი, მაგრამ რა გაეწყობა, თუ გაზეთებს ამ ქალის სამკაულზედ ბასსი მოჰგონებიათ. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ კლივლანდის მეუღლე მოდას არ ემორჩილება და ტიურნიურს არ ატარებს თურმე. ასეთი საქციელი სახელმწიფოს მეთაურის კაცის მეუღლისა ორ-გვარად მიუღიათ: ერთი ნაწილი ქალებისა დიდად თანაუგრძნობს და აღტაცებაშიაც კია მოსული, ხოლო მეორენი, განსაკუთრებით მეუღლენი პატივცემულთა სენატორთა, საშინლად აღელვებულნი არიან, დემოკრატის მეუღლე ამ არისტოკრატიულს ტენდენციებს რად მისდევსო. თურმე ვაშინგტონს გაუგზავნა სხვა-და-სხვა გაზეთებში ათასობით დეპეშები ტიურნიურის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთაგან. რა არ აჰკიდეს კუდად ამ კუდს: მამულის სიყვარული, დასთა ინტერესი და თითქმის ამერიკის ბედ-იღბალიც-კი, რომელიც დაიღუპება, თუ ქალები მოდაზე არ ივლიან და დროს მოთხოვნილებისდა გვარად არ ჩაიცვამ-დაიხურავენო.

— თავადი ბისმარკი თურმე ერთი საუკეთესო მსროლელთაგანია გერმანიაში. ამ დღეებში იმისს მსახურთ მიზანი დაუნიშნავთ და დაუწყიათ გასართობად სროლა. ამ შექცევაში მონაწილეობის მიღება მოუწადინია მოხუცს თავადსაც. კანცლერს თოფი აუღია და, თავისის 73 წლის მიუხედავად, 120 ნაბიჯის მანძილზედ ორჯელ მოუხვედრებია ტყვია.

— ლონდონში ამ რამდენისამე ხნის წინად გარდაცვალა თურმე ერთი ხორცის კუპატების გამკეთებელი, რომელსაც ძალიან დიდი ვაჭრობა ჰქონდა. იმ წამსვე ქვრივს მეკუპატესას შერთავს სთხოვა მეორე მეკუპატემ, რომელსაც დუქანი სწორედ ქვრივის პირდაპირ ჰქონდა. ქვრივმა უარი უთხრა თურმე და განრისხებულმა მეკუპატემ მაგიერის გადახდა იმითი მოუნდომა, რომ ერთიორად გაადიდა თავისი კუპატები და თავისდა საზარალოდ დაიწყო ვაჭრობა. რაღა თქმა უნდა, ქვრივის დუქანში აღარავინ შედიოდა და ქვრივს საშინლად გაუჭირდა ცხოვრება. ერთხელ ამ ქვრივს ეწვია თურმე გარდაცვალებულის ქმრის მეგობარი. ქვრივმა შესჩივლა მეკუპატეს ვერაგობა და რჩევა სთხოვა. ქმრის მეგობარმა უთხრა თურმე, რომ მაგ საქმს წამალს მე ვუპოვნიო. მეორე დღეს ქვრივის მტერ მეკუპატის დუქანში, როცა მუშტრებით სავსე იყო, მივიდა თურმე ვიღაც დაგლეჯილი და ტალახში მოგანგლული კაცი, სტოლზედ დაჰყარა ორი აყროლებული კატა და პატრონის ბიჭს უთხრა: „აი, ჩემ მიერ დაპირებული მეოც-და თექვსმეტე წყვილი კატა, ასე რომ ეხლა თქვენგან 4 მანეთამდე ფული მერგება. უთხარით მეკუპატეს, რომ ხვალ შემოვივლი ფულისათვისაო“. ეს კაცი წავიდა. ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა ზედმოქმედებას მოახდენდა ეს სიტყვები და დამრჩვალი კატები. ერთს წუთს შემდეგ დუქანი სრულიად გამოცარიელდა და იმ დღიდგან, რაღა თქმა

---

რასაც დავუშინო, ნუ დამაცდენინებ». შაშაზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

მზის მსგავსად მრგვლად მოხარშულს ხოზოს აილებს და ამბობს: «მზეო! მადლსა, სიკეთესა, თავისს რიგზე და დროზე სითბო და სინათლესა, კეთილს დროს .. ნუ მოგვაკლებ». ამავე ხოზოთი თხოულობს ქალებისათვის, რომ სიმშვენიერით, სილამაზითა, ეშხითა და სიკეკლუცით მზესავით ანათებდნენ, ბრწყინავდნენ და ათბობდნენ კაცის გულს.

არის ახალ-მთვარის მსგავსი ხოზო და ამით ლოცულობს მთვარის სახელს. აგრეთვე ამავე ხოზოთი ხელში ვაჟიშვილებს მთვარეს ადარებს, რომ ისინი მთვარესავით ელვარებდნენ; როგორც მთვარის ამოსვლა კაცის გულს ახარებს, ისე თვითოეული მათგანი კაცის გულს მოხვდებოდეს, მოსწონდეს და სხ.

არის ბოლოს საცეხველის მსგავსი ხოზო, რომელშიაც სხვა რამდენსამე ხოზოებს თავები ჩამწკრივებული აქვს (გამოხატავს ლომის ცეხვის პროცესს). დაიჭერს რა ამ ხოზოს, აფხაზი სთხოვს «დიდთა ღმერთთა» ოჯახის მომატებას, იმის უვნებლად დაცვას, რომ ასე იყვნენ ქალები, რძლები, მათ შორის დედა, ანუ დედამთილი იდგეს და გრიალ-გრიალით ცეხვდნენ. გლეხნი თავისთვის ისურვებდნენ ამას, ხოლო კეთილშობილნი თავისის ყმებისათვის.

ფუტკრის სალოცავი

რგვალ ყველიანს პურს, ხაჭა პურს აცხობენ, შედიან და ულოცავენ ფუტკარს ანანაგუნდას სახელის ხსენებით. შემოდიან მერე შინ და სჭამენ პურს, მაგრამ ისე-კი, რომ ერთმანეთი არ დაინახონ: ერთს ერთის კარისაკენ აქვს პირი მიქცეული და მეორეს მეორისაკენ.

მჯათ

ამ სახელ-წოდების ხსენებით ლოცვა აღსრულდება აღდგომის საღამოს დიდის მრგვალისა და ყველიანის ქადით. ლოცვის გათავებისას მლოცველი აიღებს დანაყილს მარილს, რომელსაც სხვა-და-სხვა ბოსტნეულობა ურევია და მაწონში ჩააგდებს, პატარა ტყემლის ჯოხსაც ჩაჰყოფს და ამბობს: „დღეის შემდეგ არ ვყოფ, არ ვზომავ, ახალი რძე და ყველი უშვი“. ამ დღეიდამ რძესა და ყველსა ხმარობენ მოთხოვნილებისამებრ სხვა-და-სხვა გვარად. ამ დრომდის-კი ახალს მწვანილს არ ურევენ რძეში, რომ ამით მეწველს საქონელს რძე არ შემოაკლდეს.

ქფათ ოქვნაშ

შაბათს, ახალ ანუ თომას კვირიაკის წინა დღით (ანუ ნაალდგომევს ერთ-ერთს შაბათს) აფხაზი ლოცულობს ქფათის სახელობაზე (საჭიროა შესაწირავი ყველი, მჭადი, ზედაშე ღვინო, სანთელ-საკმელი და სხ.) საერთოდ მთელის ჯალაბობის, სახლობის საღად და უვნებლად (უფრო ცეცხლისაგან) დაცვისათვის. ამ სალოცავისათვის მომზადებულს საჭმელს მარტო ოჯახის წევრნი სჭამენ. ხალხში თქმულებაა: „აღდგომასავით ჩვენს მოკეთეს მოუვიდეს, ქფათასავით შენს მტერსაო“, რადგან აღდგომის საჭმელი არავის არ ეკრძალება და, მაშასადამე, შესაძლოა უკეთ მოლხენა, ხოლო ქფათის დღეს-კი ეს არ შეიძლება.

ქფათის სახელზე ლოცვის აღსრულების სწორს, კიდევ შაბათს დღეს, თითქმის იმავე წესითა და ხორაგეულობით ლოცულობენ «ქვანაშ»-ას სახელით, რომელსაც აგრეთვე საერთოდ ევედრებიან ოჯახისათვის...

აქ და ზემოდ მეცამეტე სალოცავში მოხსენებული «ქფათ», «ქვანაშ» და «მჯათ»-ის შესახებ ამ დროებით მეტს ვერას ვიტყვით. ქფათ და მჯათ მამაკაცის სახელებია ეხლა.

კიდევ საქონლის სალოცავები

წვრილს ოთხ-ფეხს საქონელს, მთისკენ გარეკის წინად, შაბათ დღეს, ულოცავენ „ჩემი ექვათი“ და ციკნითა «გარეულების», ე. ი. მკვდრების სახელზე! ამავე დღეს საღამოთი რძის ქაშით ულოცავენ აითარის სახელითა. ამ ქაშს პირველად ქალს აჭმევენ, იქნება ძროხებმა საფურე ხბორები მოიგონო... მეორე დღეს მამაკაცნი მიდიან ტყეში, სადაც აკეთებენ პატარა კარავს, რომელზედაც დააწყობენ საჭირო ხორაგეულობას. გვერდზე იქვე მიწაში ჩასობილ და ჩანგალივით სამ-კბილიან ჯოხის წვერზე მოაცმენ თით-თითო მრგვალ ნედლ ყველს და ამის შემდეგ უფროსი ულოცავს პირუტყვს მეხის (აფუ) სახელით, რომელსაც (სალოცავს) აფხაზი უბრალო ლაპარაკში, შიშისა გამო, ზევითს, ზევითურს უწოდებს. აქ მოყვანილს ქათამს ზოგი ბიბილოს მოსჭრის და ცოცხალს ტყეში გაუშვებს, ზოგიც გაატყავებს და ისე ჩამოჰკიდებს იქ. მთაზე ასულნი მწყემსნი ულოცავენ საქონელს აგრეთვე მთის ზედამხედველ მეხის სახელობაზე. ყველა ამ სალოცავებში, გარდა ჩვეულებრივის ლოცვისა, აფხაზნი ევედრებიან მთიდამ უვნებლად და მშვიდობიანად ჩამოგვიყვანეო.

ანანჭა

15 აგვისტოს, ანუ მარიამობას აფხაზი უწოდებს ანანჭას. აფხაზურის ენის არა მცოდნეც ჰხედავს, რომ ერთი ნაწილი ამ სიტყვისა ხმაურობს მსგავსად ნანა და მართლაც ეს სიტყვა შემდგარია სიტყვათაგან: ანან, ნანა და ნჭარა ლოცვა; ანანჭა—ნანას სახელობაზე ლოცვა, ნანას დღესასწაულია. თუ ჩვენ გვეცოდინება ეს ჩვენ დრომდინაც დარჩენილი სალოცავი, რომელსაც აფხაზი აღასრულებს ამ დღეს, მაშინ უკეთ მივხვდებით ამ სახელწოდების მნიშვნელობას... სახლის უფროსი დედაკაცი აიღებს გამომცხვარს ჭადს, ზედ ერთს ვერცხლის ფულს, ეგრედ წოდებულს (ანანლ ფარა) „ნანას ფულს“ დასდებს, შედის ბოსტანში და ჩერდება კიტრის ძირთან: სამს კიტრის ფოთოლს ჭადს ქვეშ ამოსდებს, სამს ზევით მოაფარებს და სამს თავზე დაიდებს. მოკიდებულს სანთელს კიტრისავე ღერს მიაწებებს, ხოლო თვითონ ჯერ საკმეველით ხელში ლოცულობს: „დედანო გამჩენნო! შვილების სიმწარეს ნუ მიჩვენებ, მათთვის გაბდღვნილად კუთხეში ნუ დამსვამ, მათს სიკეთეს დამასწარი“.

სადამბადებლო აშაცანჭა

დამბადებლების, ანუ გამჩენ-გამომსახავთა სახელზე ლოცულობს მარტო დედაკაცი. თვითოეულ ამათგანს ჰყავს ამისათვის ყურ-მოჭრილი ძროხა. ამ ძროხის ხბოით ანუ იმ წელს, როცა საფურე ხბოს მოიგებს ძროხა, ორის ყვერულით ულოცავს გარეშე წმინდათ დედაკაცი და შესთხოვთ გამჩენ-გამომსახავებს ქალისა, იმისის ქმრისა და მთელ იმის ოჯახისათვის. ეს ზემორე მოხსენებულ სალოცავთან (ნანას სალოცავი) არის შეერთებული და ამიტომ ყველა იმისთვის საჭირო საგნები საჭიროა ამ უკანასკნელისათვისაც: ოთხი კვერი, მამალი, „ნანას ფული“ (დამბადებლების შანა ფული კისერზე აბია ყოველ დედაკაცსა).

თმაზე სალოცავი

შუა დიდ-მარხვაში იცოდნენ თმის ლოცვა: მთელის სოფლის ქალები შეიკრიბებოდნენ, აკეთებდნენ მრავალს ხოზოს და მიჰქონდათ წყლის პირას. აქ წმინდა დედაკაცი ქალებს მიაზომებდა მსხვილს და გრძელს და ამბობდა: „ამ სიგრძე, ამ სიმსხოო“, იგულისხმე: თმა. ესეთი სათხოვარი ქალებისა მიმართული იყო წყლის დედის მიმართ.

პ. გორგაძე

(შემდეგი იქნება)

უნდა, აღარავინ სწყევის, სამაგიეროდ ქვრივმა დაიწყო თურმე მშვენიერად ვაჭრობა და, მადლობის ნიშნად, თავისის ქმრის მეგობარს გაჰყვა ცოლად.

— ნიუ-იორკის გაზეთების [illegible]ით, ამას წინად იქ დარჩობით დაუ[illegible] რიდელი თავისის ცოლისა და შვილის მოკვლისათვის. საყურადღებოა ამ ამბ[illegible] წვლილი. რიდელი ახლად მისუ[illegible] ყოფილა ამერიკაში ცოლითურთ. ორივენი გერმანელნი არიან. მისვლისათანავე საქმე უშოვნიათ საფეიქრო ფაბრიკაში, მოწყობილან და ტკბილად უცხოვრიათ. რიდელის ცოლს შემდეგ თავი დაუნებებია მუშაობისათვის, რადგან ფეხ-მძიმედ ყოფილა. ამ გარემოებას რიდელზე ისე საშინლად უმოქმედნია, რომ იმასაც აუღია ხელი მუშაობაზედ, ცოლითურთ წასულა ფილადელფიაში და იქ უშოვნია საქმე. ფილადელფიაში ყოფნის რამდენისამე ხნის შემდეგ უეცრად ერთხელ დაბრუნებულა სახლში, დამბაჩით მოუკლავს ცოლი და ახლად დაბადებული ყმაწვილი და თავისის თავისთვისაც ორი ტყვია უსროლია შუბლში. თუმცა მალიანა ყოფილა დაჭრილი, მაინც მობრუნებულა. ჩვენების ჩამორთმევის დროს ულიარებია, რომ ჩემი ცოლი განძრახ მოვკალი და მხოლოდ იმასა ვწუხვარ, რომ მე ცოცხალი გადავრჩიო: „სიცოცხლე მომბეზრდა, საიქიოს ცხოვრებისა არა მწამს-რა და ამიტომაც ჩემთვის სულ ერთია, როგორც უნდა მოვკვდე და როგორც უნდა ამომხადეს სულიო“. როცა უკითხავთ, რომ ცოლი მაინც რამ მოგაკვლევინაო, უპასუხნია: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ცოლსა და შვილს ურჩევნიათ ყოფნა „დიადს არარაობაში“, ვიდრე ამ ქვეყნად, რომელიც კარგია დაბალ არსებათა და პირუტყვთათვის და რომელიც კარგი იყო ისტორიამდე განვლილ ეპოქაში მცხოვრებთათვის“. სასამართლოში რიდელი უარჰყოფდა თურმე თავისის ვექილის სიტყვებს, რომელიც სცდილობდა, რომ შჰკვათა არ-მყოფელად აღენიშნა იგი, რათა სიკვდილით დასჯას გადაერჩინა. რიდელი ისე ჭკვიანად და გონიერად ლაპარაკობდა, რომ ყველანი გაოცდა თურმე. დამნაშავესათვის მოსამართლეებს განუჩენიათ სიკვდილით დასჯა. როცა ბოლოს გამოუცხადებიათ, რომ შეგიძლიან გუბერნატორს პატიება სთხოვოო, ამ სასჯელით გახარებულს დამნაშავეს, პირ-იქით, უთხოვნია, რომ ჩქარა მოიყვანეთ აღსრულებაში სასჯელიო. იმისი სურვილი დაუკმაყოფილებიათ და რიდელი ისეთის სიმშვიდით ასულა სარჩობელაზე, თითქო დარწმუნებულია, რომ მარტო „დიადს არარაობაში“ მოელის ნეტარებაო.

# დეპეშა

1 სექტემბერი

**ვენა.** ავსტრიის იმპერატორმა პირადად უბრძანა საყვედური ეპისკოპოსს შტროსმაიერს, მილოცვის დეპეშა რად გაჰგზავნე რუსეთის ნათელღების 900 წლის დღეობის გამოო; შტროსმაიერმა უპასუხა იმპერატორს, რომ ჩემი სინიდისი წმინდააო. ასეთმა პასუხმა დიდად იმოქმედა ყველაზე ვენაში.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 3-დამ 4%-მდე.

**ბელგრადი.** თუმცა უარ-ჰყოფენ, მაგრამ ხმა მაინც დადის, რომ სამინისტრო სამსახურიდამ გადადგაო. დაბად და სოფლად ბევრი დაისაჯა იმისთვის, რომ იდღესასწაულეს ნატალიას დღეობა. ნიშსა და შაბსაც ში ადმინისტრაციის ჯიბრით დედოფლის დღეობა იდღესასწაულეს დიდის ამბით: სახლები მორთეს ბაირაღებით, ხოლო საღამოზე ჩირაღდანი გაჰმართეს; ბუქარესტში გაგზავნილ იქმნა დიდ-ძალი ადრესები მილოცვისა. ადრესებზე მრავალისაგან მრავალს ეწერა ხელი. ერთს ადრესზე მოეწერა ხელი სხვათა შორის გარაშანინსაც.

2 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდნი მთავარნი გიორგი და ელადიმერ ალექსანდრესძენი და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმცროსი, ალლუმის გათავების შემდეგ და ჯართა პარადის მერმედ ნოტაევკის სადგურიდამ სპალას წაბრძანდნენ.

**პეშტი.** ვენგრიის მწერლობა ხარობს იმის გამო, რომ იმპერატორმა საყვედური უბრძანა შტროსმაიერს. ეს გარემოება გამარჯვებას მოასწავებს ვენგრიის სახელმწიფო იდეისას და ნიშანია პანსლავისტების დამარცხებისაო. „Pester Lloyd“-ი ერთად იხსენიებს სადღეგრძელოს, რომელიც იმპერატორმა ფრანც-იოსებმა წარმოსთქვა სრულიად რუსეთის იმპერატორის დღეობის გამო, და შტროსმაიერისათვის ნაბრძანებს საყვედურსა და ამბობს, რომ იმპერატორის საყვედური რუსეთის საწინააღმდეგოდ-კი არ არის ნათქვამი, პანსლავისტების წინააღმდეგ არისო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 სექტემბერი

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 70 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 154 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 22 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 264 | — „ | — „ |
| —მეორისა | 247 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

3 დღე შაბათი. წამება ანტიმესი. კათოლ. ბრონესლავისა. სომეხ. წმ. 318 მამათა მსოფლიო ტაძრისათა. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 5—40, ჩადის 6—10. მთვარე 10 დღისაა.

4 დღე კვირა. წმ. წამ. ბაბილასი და თევდორესი. კათოლ. სიზალიასი. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 5—41, ჩადის 6—9. მთვარე 11 დღისაა.

5 დღე ორშაბათი. წინასწარმეტყ. ზაქარიასი. კათოლ. ლავრენტი იუსტინიანელისა. სომეხ. 1-ლი დღე ამაღლების მარხვისა. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 5—42, ჩადის 6—7. მთვარე 12 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბირდამ 1 ოქტომბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** | 11 | 02 | 1 | 17 | **რიონი** | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა** | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი** | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | **გორი** | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევერ 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| **ტფილისი** | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** | 8 | 24 | — | — |


## სკოლა და პანსიონი

მ. ა. ნასიძისა

(კუკიაში, ელისაბედის ქუჩაზედ, თ. ანდრონიკაშვილის სახლებში, № 93)

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის, რეალურ და საქალაქო სასწავლებლის პირველს კლასისათვის. გარედამ მოსიარულე მოწაფენი იხდიან თთვეში 5 მანათს, პანსიონში მცხოვრებნი 25 მანათს. (10—7)

**სასწავლებელი და პანსიონი**

ი. რ. მრევლიშვილისა

ნიკოლ. ქ., სახლი № 21, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ამზადებს ბავშვებს ყოველ საშუალო სასწავლებლებისათვის. დაწვრილებითი პირობანი მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ თვით სასწავლებელში. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბერს. (10—6)

ამ 1888 წლის ენკენისთვისათვის სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში 40 ვაკანსია იქმნება; მეორე, მესამე და მეოთხეში ვაკანსია არ არის. მსურველთა თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 20 აგვისტოდამ 27-ძე და თან უნდა წარმოადგინონ წლოვანებისა, აზნაურობისა და ბანკის მოწმობა, რომ მოსწავლის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. ვისაც ქუთაისის სააზნაურო სასწავლებლის 1 განყოფილების ვაკანსია არა ხვდება, შეუძლიანთ სენაკის სააზნაურო სკოლის თავისუფალს ვაკანსიებს მოჰმართონ 15 სექტემბრამდე.

სასწავლებლის ინსპექტორი ს. გ. ყიფიანი

(5—5)

**ტფილისის საბალოსნო**

## სკოლაში

საცა ხეხილის გასაშენებელი ბაღი იყო, მუშტაიდის გვერდზე,

**ვტვირთულობთ მოვზადებას**

კოთლებისა, ყვავილებისა და მწვანილისაგან დაწნულის ხვეულებისას, ანუ გირლიანდებისას ფანჯრებისა, კარებებისა, კედლებისა და სხვათა მოსართავად. იქვე ისყიდება ყოველ გვარი მცენარე და ფოთლები სახლების მოსართავად. (10—1)

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. გაიცარიძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი. | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. სუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |


Доз. ценз. Тифлисъ, 2-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე